სასოფლო გაზეთი. № 4. 1869.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

	გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	გაუგზავნელათ: მან.
ერთის წლისა	— 4 მან.	— 3
ნახევრის წლისა	— 3 —	— 2
სამის თვისა	— 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

მეორე წელიწადი

გამოდის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 4. შაბათი. II. 22 თებერვალს 1869 წ.

შინაარსი:

— ოფიციალური ნაწილი: — განცხადებანი ტფილისის გუბერნატორისა სოფლის მამასახლისთა და მოსამართლეთადმი. — არა ოფიციალური ნაწილი: ძროხის ყვავილის აცრაზე. — მქიმის მოთხრობა. — სამეურნეო ამბები. — მიწის ძვრა და ცეცხლმქშინავი მთები. — სხვა და სხვა ამბები.

ოფიციალური ნაწილი.

განცხადება

ტფილისის გუბერნიის სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებისა და მოსამართლეებისადმი.

დამარხვის დროს კანონიერის წესის შეუსრულებლობისა გამო, ტფილისის გუბერნიის ერთს სოფელში მოხდა შემდეგი შემთხვევა: ერთს სახაზინო გლეხს შვილი გაუხდა ავად და ეგონა, რომ მოუკვდა. ამისთვის მოიწვია მღვდელი იმის დასასაფლავებლათ და ქრისტიანული წესის აგების შემდეგ, ყმაწვილი კუბოთი ჩაასვენეს საფლავში და როგორც კი მღვდელმა პირველი ნიჩაბი მიწა დააყარა, ყმაწვილის ტირილი მოესმათ კუბოდგან. ამან ცხადათ დაარწმუნა იქ მყოფნი, რომ ყმაწვილი მკვდარი არ ყოფილიყო და იმ დროს მოსულიერებულიყო.

საქმით პოლიციის წესდებულების კანონებისამებრ მეცამეტე ტომში არის დადგენილი შემდეგი წესი:

მუხლი 917. აკრძალულია შემდეგ სიკვდილისა სამ დღეზე ადრე დამარხვა, თუ ქირით ან სხვა გადამდები ავათმყოფობით არ მომკვდარა კაცი; მაგალითად: სნებით, ან ხურვებით, ან ყვავილით, ან წითელათი დამყივანა ხველათი; მხოლოდ ამ შემთხვევაში, რომ ავათმყოფობა კარგათ მყოფებსაც არ გადაედვას, ზემოთ მოხსენებულ ვადაზე ადრე უნდა დამარხონ, როგორც ეს არის ამა წიგნის მეოთხე განყოფილებაში მოხსენებული.

მუხლი 926. სამარე, რაც შეიძლება, ღრმათ უნდა ამოთხარონ, ისე რომ საფლავის სიღრმე ორ არშინ ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს.

უჩვენა ამა ზემოთ მოხსენებულზე მივაქცევინებ რა თვალ-ყურს სასოფლო მამასახლისებს და მოსამართლეებსა, მე სასტიკათ ვუბრძანებ იმათ თავის მხრითაც ჰქონდესთ დაუძინებელი ყურადღება სოფლელებზე, რომ იმათ მტკიცედ აასრულონ ნაჩვენებნი წესნი და არავითარი ამ გვარი უბედურება არ მოხდეს ამიერიდგან; ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი სასტიკათ დაისჯებიან კანონითა.

ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორი ქ. ო რ ლ ო ვ ს კ ი.

განცხადება

ტფილისის გუბერნიის სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებს და მოსამართლეებს.

მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხმა, 1868 წელს 20 დეკემბერს დაწერილ განცხადებასთან, №4608, წარმომიგზავნა რა რაპორტი ბლალოჩინის დეკანოზის იოანე ქირიაკოვისა, იმის მრევლში თრიალეთის საპრისტავოს მკვდრების დასაფლავების შესახებ წესის აუსრულებლობაზე ბრძნების მიერ, მთხოვს განკარგულების მოხდენას, რაიცა შესაძლო არს ჩემგან ამ საგნის შესახებ.

ბლალოჩინის ქირიაკოვის რაპორტიდგან სჩანს, რომ თუმცა თვითონ ბლალოჩინიცა და მრევლის მღვდლები უქადაგებენ, რომ სამ დღეზე ადრე შემდეგ სიკვდილისა არ დაასაფლავონ და სამ არშინზე ნაკლები სიღრმე სამარისა არ მოსთხარონ, მაგრამ ბლალოჩინის ხელქვეითი მრევლის მცხოვრებნი მაინც ჩვეულებისამებრ ჰმარხვენ იმავე დღეს, როგორც კი მოკვდება, და სამარესაც არა სთხრიან ღრმათ. ამის დასამტკიცებლათ მოჰყავს ერთი შემთხვევა, რომელიცა მოხდა ნოემბრის თვეში სოფელს ბარმახსიზს: იქაურს მცხოვრებს სიმონა ჭარელიევს მოუკვდა შვილი და მაშინვე მოიწვიეს მღვდელი, რომელმაც დადგენილის წესისამებრ გაასვენა მიცვალებული საყდარზე; შემდეგ წესის აგებისა მიიტანა საფლავთან, მაგრამ როგორც კი ეს ყმაწვილი ჩაასვენეს საფლავში და მღვდელმა პირველი ნიჩაბი მიწა დააყარა, მაშინვე ყმაწვილმა სული ამოითქვა და დაიწყო ტირილი.

ამიერითგან ამისთანა უბედურის შემთხვევების ასაცილებლათ, სასტიკათ ვუბრძანებ სასოფლო მამასახლისებს და მოსამართლეებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც პირდაპირ აღმასრულებლებს სოფლებში კანონი განმარტებულის წესიერებისა, ჰქონდესთ დაუძინარი ყურადღება, რომ მიცვალებულნი იმათის სოფლისა, თანახმად 1857 წლის სამოქალაქო სჯულთა კრების XIII ტომის 917 მუხლისა, სამ დღეზე ადრე შემდეგ სიკვდილისა არ დამარხონ, თუ სხვა რაიმე გადამდები ავათმყოფობისაგან არ მიცვალილა, აგრეთვე თანახმად იმავე ტომის 926 მუხლისა, სამარენი უნდა იყვნენ გათხრილნი ორ არშინ ნახევარ სიღრმეზე მაინცა.

ამასთანავე წინათვე ვაცნობებ, რომ თუ მტკიცედ არ აასრულებენ ამა მოწერილობასა, სოფლის მამასახლისები და მოსამართლეები სასტიკად დაისჯებიან კანონისამებრ.

თფილისის სამოქალაქო გუბერნატორი კ. ორლოვსკი.

განცხადება

თფილისის გუბერნიის სასოფლო საზოგადო სასამართლოებს.

ტფილისის გუბერნიის ზოგიერთს ალაგების სოფლებში ხმარობენ მთელის დამრგვალებულის ფიცრისაგან უსოლო და უფერსო თოლებიანს ოსმალურს ურმებს, რომლის თოლებიც შუაადგილზე არიან სქელნი და ნაპირები კი პირიანები აქვთ და ზედ სიმრგვლივ შემოკრული აქვთ რკინები; ეს თოლები, თუ ნამეტნავათ ურემი მძიმეთ არის დადებული, — ძალიან ღრმათა სჯდება მიწაში და მობრუნების დროსაც ჭგლეჯს მთელ-მთელ მიწის ბოლტებს, ანუ ნამზღვლევებს და ამისთვის ამნაირი ურმები სრულებით ახდენენ გზებსა: უბრალო გზების ხდენით, თვითონ მცხოვრებლებს ეძლევათ ზარალი, ამისთვის რომ ამ გზებს უნდა მუდამ კეთება, რომლისათვისაც უნდა გამოვიდეს ხოლმე სოფლის ხალხი სამუშაოთ და ამ რიგათ თავის საკუთარ საქმეზე ხშირად მოცდენილნი არიან; ეს ოსმალური ურმები აგრეთვე ახდენენ შოსეს (ქვეშით დაფენილს გზებს) და ამისგამო სოფლის მცხოვრებლებს შეჰყავთ ხაზინა დიდს ზარალში. ამისათვის უმაღლესი მთავრობა ითხოვს, რომ ტფილისის გუბერნიის სოფლის ხალხმა თავიანთვე სასარგებლოთ, დაუყოვნებლათ დაიწყონ ყველა ურმების შეცვლა პოოსკებზედ, რომლების თოლებს გარშემორტყმული უნდა ჰქონდესთ პრტყელი რკინის კრკალები.

ბანუცხადებ რა ამაზედ ყველა სოფლების მცხოვრებთ, ჩემდამო რწმუნებულს ღუბერნიაში, განვაფრთხილებ, რომ აღსრულებისათვის ამა მმართებლობის ნებისა მე მექმნება სასტიკი თვალყურის ჭერა და თუ მცხოვრებნი არ ეცდებიან თავიანთ ნებით ამ ბრძანების მიხედვას, მაშინ იმ შოსეზედ მოსიარულე ურმებს დადებათ დიდი ბაჟი და მერე კიდეც ეკრძალებათ სიარული შოსეზედ, რომელიც ასე ძვირათ უჯდებათ ხაზინას.

იმ მცხოვრებთაგანნი, რომელნიც აჩვენებენ მაგალითს სხვებსა გაკეთებით და შეცვლით თავიანთ ურმებისა იმ გვარათ როგორც, მთავრობამ უჩვენა, მაშინ ისინი გულდაჯერებულნი უნდა იყვნენ, რომ მთავრობა არ დაარჩენს მათ უყურადღებოთ და დაუჯილდოებლათ. ზემოთ მოხსენებული მთავრობის ბრძანების აღსასრულებლათ დაახლოვებითი თვალყურის ჭერა მიენდობათ სოფლების ნაცვლებს და მათ თანაშემწეთა და თუ ამათ მთავრობის მინდობილობა ამ საქმეში არ აასრულეს, უეჭველათ მიეცემიან პასუხის გებაში.

ნამდვილზე ხელი მოაწერა თბილისის გუბერნატორმა, ტაინის სოვეტნიკმა კ. ორლოვსკიმ.

შეამოწმა: კანცელარიის გამგებელმა კ. ზისერმანმა.

ОФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ

ОБЪЯВЛЕНІЕ

Старшинамъ и Судьямъ сельскихъ обществъ Тифлисской губерніи.

Въ одной изъ деревень Тифлисской губерніи, вслѣдствіе несоблюденія предписанныхъ законами правилъ о погребеніи умершихъ, былъ слѣдующій случай: казенный крестьянинъ, признавши умершимъ младенца своего, въ тотъ же самый день пригласилъ священника для отпѣванія и преданія землѣ, и когда послѣ исполненія христіанскихъ требъ мнимо-умершій младенецъ былъ опущенъ въ могилу и священникъ бросилъ первую лопату земли на гробикъ, то изъ онаго послышался плачъ, удостовѣрившій предстоящихъ, что младенецъ ожилъ.

По дѣйствующимъ узаконеніямъ изложеннымъ въ XIII томѣ законовъ устава медицинской полиціи, установлены слѣдующія правила:

Ст. 917. Запрещается вообще хоронить мертвыхъ прежде истеченія трехъ сутокъ, по удостовѣреніи въ смерти, если смерть послѣдовала не отъ чумы, или какой либо другой заразительной болѣзни, какъ то: гнилой и прилипчивой горячки, оспы, кори, скарлатины: въ сихъ только случаяхъ, дабы предотвратить распространеніе заразы между живыми, приступать къ погребенію прежде означеннаго срока, какъ сіе относительно чумныхъ опредѣлается въ четвертомъ раздѣлѣ сей книги.

Ст. 926. Трупы зарывать, сколько можно, глубже, такъ чтобъ глубина ямы была не менѣе двухъ аршинъ съ половиною.

Обращая вниманіе на все вышеизложенное сельскихъ старшинъ и судей, я строго предписываю имъ имѣть съ своей стороны неослабное наблюденіе надъ поселянами за точнымъ исполненіемъ ими объясненныхъ правилъ, въ предотвращеніе несчастныхъ случаевъ на будущее время, въ противномъ случаѣ виновные будутъ наказываемы по всей строгости законовъ.

Тифлисскій Губернаторъ Тайный Совѣтникъ *К. Орлокскій.*

ОБЪЯВЛЕНІЕ

Старшинамъ и Судьямъ Сельскихъ Обществъ Тифлиской Губерніи.

Его Высокопреосвященство экзархъ Грузіи, при отзывѣ отъ 20-го Декабря 1868 года, за №4608, препровождая комнѣ копію съ рапорта Благочиннаго протоіерея, Іоанна Киріакова, о не соблюденіи прихожанами изъ грековъ Тріалетскаго приставства существующихъ постановленій при хороненіи умершихъ, проситъ сдѣлать зависящее отъ меня распоряженіе по этому предмету.

Изъ рапорта Благочиннаго Киріакова видно, что жители подвѣдомственныхъ ему приходовъ, не смотря на увѣщанія его Киріакова и мѣстныхъ священниковъ, вырывать могилы глубиною на три аршина и оставлять умершихъ непогребенными до трехъ дней,-хоронятъ ихъ,

по привычкѣ, въ самый день ихъ смерти и могилахъ кое-какъ вырытыхъ. Въ доказательство тому приводитъ случившееся въ ноябрѣ мѣсяцѣ вь сел. Бармахсизъ слѣдующее происшествіе: у тамошняго жителя, Семеона Кареліева, умеръ младенець и тотчасъ же былъ потребованъ священникъ, который, явясь, установленнымъ порядкомъ внесъ умершаго въ церковь; потомъ совершивъ отпѣваніе, проводилъ до могилы, но когда младенецъ этотъ былъ опущенъ въ могилу и священникомъ брошена на гробъ первая лопатка земли, то мнимый мертвецъ ожилъ и сталъ плакать.

Въ отвращеніе повторенія на будущее время подобныхъ несчастныхъ случаевъ, я строго предписываю сельскимъ старшинамъ и судьямъ, какъ непосредственнымъ исполнителямъ въ селахъ предписаннаго закономъ порядка, имѣть неослабное наблюденіе, чтобы умершіе, согласно 917 ст. и XIII т. св. зак. гражд. изд. 1857 года, были хоронняемы не прежде истеченія трехъ сутокъ по удостовѣреніи въ ихъ смерти, если таковая послѣдовала не отъ какой либо заразительной болѣзни; а также чтобы, согласно 926 ст. того же тома, ямы для зарыванія мертвыхъ труповъ, были глубиною не менѣе двухъ аршинъ съ половиною.

При семъ предваряю, что за не точное исполненіе сего, виновные въ томъ сельскіе старшины и судьи, будутъ подвергаемы взысканіямъ по всей строгости законовъ.

Тифлисскій Губернаторъ Тайный Совѣтникъ *К. Орловскій.*

ОБЪЯВЛЕНІЕ

Сельскимъ общественнымъ Управленіямъ Тифлисской Губерніи.

Въ нѣкоторыхъ частяхъ Тифлисской Губерніи, въ сельскомъ населеніи, употребляется такъ называемая турецкая арба съ особеннаго рода безъ спицъ колесами, представляющими кружокъ цѣльнаго дерева, въ серединѣ весьма толстый, а къ краямъ заостренный, окованный узкою желѣзною полосой; колеса эти, особенно если арба тяжело нагружена, глубоко врѣзываются въ почву, а при поворотѣ вырываютъ цѣлыя глыбы земли, обозъ же такихъ арбъ причиняетъ совершенную порчу дороги. Между тѣмъ такой вредъ, причиняемый дорогамъ обыкновеннымъ, принуждаетъ самихъ же жителей исправлять ихъ и для этого давать частые усиленные наряды, а подвергая порчѣ дороги шоссейныя, жители вводятъ казну въ громадные расходы. А потому высшее начальство требуетъ, чтобы жители Тифлисской губерніи для собственной же пользы приступили безотлагательно къ замѣнѣ всѣхъ арбъ повозками, колеса которыхъ были бы окованы обыкновенными плоскими шинами.

Объявляя объ этомъ всѣмъ сельскимъ обывателямъ ввѣренной мнѣ губерніи, предваряю, что за исполненіемъ этой воли правительства я буду строго слѣдить и если жители не постараются добровольно слѣдовать этому указанію, то арбы будутъ обложены высшимъ шоссейнымъ сборомъ и даже вовсе воспрещены для ѣзды по шоссейнымъ дорогамъ, такъ дорого стоющимъ.

Тѣ изъ жителей, которые покажутъ примѣръ, замѣняя и передѣлывая свои арбы по указанію Начальства, могутъ быть увѣрены, что Правительство не оставитъ ихъ безъ поощренія.

Ближайшій надзоръ за приведеніемъ описанной мѣры въ непремѣнное исполненіе возлагается на сельскихъ старшинъ и ихъ помощниковъ подъ опасеніемъ, за ослушаніе, подвергнуться личной отвѣтственности.

Подлинное подписалъ: Тифлисскій Губернаторъ, Тайный Совѣтникъ *К. Орловскій.*

Скрѣпилъ: Правитель Канцеляріи *К. Зисерманъ.*

არა ოფიციალური ნაწილი.

ძროხის ყვავილის აცრაზე, რომელიც სხვა აცრაზე უფრო მარგებელია კაცისთვის.

პარიჟში უფ. შამბონი აი ამგვარათ ჰკრეფს ხოლმე ძროხის ყვავილის ჩირქსა: რამდენსამე ხბოს წმიდა გომში დააბმენ და რა საქმელსაც უფრო შეჩვეულნი არიან, მხოლოდ იმას აჭმევენ. თითო ხბო უნდა იყოს ხუთი, ექვსი თვისა. თუ ჰსურთ ძროხის ყვავილის აცრა, დააწვენენ ხბოს სტოლზე და ზედ მაგრა დააკვრენ. მერე მარჯვენით მუცელზე ბალანს მოპარსვენ ძუძუებიდგან დაწყობილი ერთ მტკაველზე.

მეორე ყვავილიანს ხბოს აგრეთვე მარცხენა გვერდზე დააწვენენ ასაცრელ ხბოს გვერდით და გაზით გამოსწურვენ ჩირქს მუწუკიდგან. ეს ყვავილის ჩირქი არის სქელი და ყვითელი ნაცრის ფერი. იმას მოაგროვებენ მაშინვე ან ნეშტარზე და ან პატარა წვრილ ბოთლებში შესანახავად. ასაცრელს ხბოს ჩირქიანის ნეშტრით გაუჭრიან სამოც, ან ოთხმოც ადგილას მოპარსულ ალაგზე კანსა და ცდილობენ, რომ ხბომ არ მოიგლიჯოს მუწუკი, ან არ მოისლოქოს აცრილი ადგილი. ყვავილის მუწუკი ხბოს კარგა დიდი აქვს. ეს მალე მწიფდება, ასე რომ ექვს დღეზე და ზოგჯერ ოთხ დღეზედაც მზათ არის, რომ იქიდგან ყმაწვილებსაც აუცრათ ყვავილი. თითონ აცრასაც ხომ ბევრი არა უნდარა. ნეშტრის წვერს ყვავილის ჩირქში გაურევენ და იმით ყმაწვილს მკლავზე გაუჭრიან კანსა. შემდეგ უნდა გაუფრთხილდნენ, რომ ყმაწვილი არ გაცივდეს და არც მოიგლიჯოს მუწუკი.

რაც უნდა იყოს ექვსი დღის ჩირქი კიდევ ვერ არის ისეთი ღონიერი და ამის გამო აცრილ ხბოდგან კიდევ აუცრიან სხვა ხბოსა, რომელსაც დააცლიან შვიდს რვა დღესა და შემდეგ იქიდგან აუცრიან ყმაწვილებსა. ამგვარათ ყვავილის აცრა იმითია უმჯობესი კაცის ყვავილიდგან აცრაზე, რომ აქ ჩირქი ბევრი შეიკრიბება, უფრო ღონიერათაც მოქმედებს ტანზე და უფრო წმინდაც არის.

ყველა ექიმებმა კარგათ იციან, თუ რა ძნელია ყვავილის ჩირქის საკმაოთ შეკრება. ძველი გამხმარი ჩირქი საიმედო არ არის, ულონოა და ყვავილის მოფენის დროს, თითქმის ალარც ძველი ჩირქია. ამიტომ რომ დედები მისწრებით ითხოვენ თავის შვილებისათვის ყვავილის აცრას და ამას გარდა ბევრი დიდებიც არიან, რომელთაც ჰსურთ ხელმეორედ აცრა ყვავილისა. და სადაც კი ხბო ჰყავთ ყვავილაცრილი, იქ ჩირქი არ შემოაკლდებათ; სამოცი, ან ოთხმოცი ყვავილის მუწუკი იმდენს ჩირქს გამოიღებს, რომ გამოულეველი იქნება. არც ის გარემოება უნდა დავივიწყოთ, რომ ამისთანა ხბო ადვილი გადასაყვანია ერთი ადგილიდგან მეორე ალაგზე, სადაც კი უფრო საჭირო იქნება ყვავილის ჩირქი.

ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ერთი ხბო, ან ორი მთელს საქართველოს ეყოფა თავისი ჩირქით, თუმცა დროს განმავალობაში ამ ჩირქს ძალა აკლდება, ისე ღონიერად ველარ მოქმედებს, როგორც თავდაპირველ; მაგრამ ამ დროს შემთხვევით გამოჩენილი ნამდვილი ძროხის ყვავილი თუ აეცრა ხბოს, ისევ განაახლებს და გააღონიერებს უწინდელს ყვავილსა.

ᲮᲑᲝᲓᲒᲐᲜ აცრილი ყმაწვილის მუწუკები რომ შეადარო კაცის ყვავილიდგან აცრილს ყმაწვილის მუწუკებსა, მაშინვე შეატყობ, რომ პირველნი უფრო მაგრები და მსხვილები არიან, ვიდრე კაცის ყვავილიდგან აცრილი მუწუკები. ᲗᲣᲛᲪᲐ იმას ვერ ვიტყვით, რამდენათ უმჯობესია ხბოს ყვავილიდგან აცრა კაცის ყვავილისაზე, მაგრამ ცხადია, რომ პირველის აცრით უფრო მოეკიდება ტანს ყვავილი და უფრო კარგათაც გამოაჩნდება ხოლმე.

ᲮᲑᲝᲓᲒᲐᲜ ყვავილის აცრა უფრო იმითი სჯობია კაცის ყვავილიდგან აცრასა, რომ პირველის ჩირქი წმინდაა და სხვა საწამლავი ნაწილები არა ურევიარა. ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ და ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ბევრჯერ შეუნიშნავთ აი ეს შემთხვევა. ᲘᲛ ყმაწვილებიდგან, რომლის დედმამასაც ოდესმე ათაშანგი სჭირევია, აუცრიათ ყვავილი სხვა ყმაწვილზე და ყვავილთან ეს საძაგელი ავათმყოფობაც გადასდებია. ᲝᲗᲮᲘ წლის წინათ ექიმმა ᲓᲔᲞᲝᲚᲛᲐ წარუდგინა თავისი შესანიშნავი გამოძიება ამ საგანზე აკადემიას და ურჩევს მეცნიერების საზოგადოებას, რომ ერთიდგან მეორეს ყვავილის აცრას თავი დაანებონ, რომ ორავითარი სენი არ გადანერგონ სხვის ტანში ყვავილის ჩირქთანაო. ᲐᲛᲐᲡ გარდა აცრილი ხბორების ყოლა არაოდეს არ გამოლევს ყვავილის ჩირქსა და თუ შემთხვევით დამართებულ ნამდვილს ძროხის ყვავილს ყურადღებას მიაქცევენ, ეს განაახლებს ხოლმე ძველს ყვავილსა და ამ გვარათ ყვავილის ჩირქი ყოველთვის გამოულეველი და საკმაოთ ღონიერი ექნება ხალხსა დიდი ბატონებისაგან (ყვავილისაგან) თავი დასაცველათ.

ᲔᲠᲗᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ ერთი დიდებული სასახლის საუკეთესო ეტაჟი ექირა სადგომათ ერთ აქაურს ექიმსა, რომელიც თუმცა არ იყო სახელგანთქმული თავისი მწერლობითა და სამეცნიერო გამოძიებითა, მაგრამ მდიდრული ცხოვრებით, მშვენიერი ეკიპაჟებით და სხვა ამ გვარი კეთილმდგომარეობის საჩინო ქონებით ძალიან ნაქები იყო. შემდეგ დიდებული სადილისა იმის მშვენიერს კაბინეთში (სამწერლო ოთახში) დასხდენ მრავალნი მეცნიერნი ექიმნი მვგობრულის საუბრისათვის. ᲠᲐᲡᲐᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ იმათში მასპინძელიც ერია.

ᲖᲔᲛᲝᲕᲐᲜ სადილს შემდეგ მხიარული ლაპარაკი გაიმართა და ხარისხით უფროს-უმცროსნი ამ საუბარში გაერთდენ. ᲐᲛᲓᲠᲝᲡ შემოვიდა მოსამსახურე და მიართვა ბარათი მასპინძელსა. ᲐᲛᲐᲜ იქვე გახსნა წიგნი, საცა ეწერა ეს ამბავი.

ᲪᲐᲠᲡᲙᲘ-ᲡᲔᲚᲝ. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲡ Ნ. ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ. ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲞᲔᲢᲔᲠᲘᲛ სპიჩკები ჩაიდვა პირში და მოიწამლა. ᲣᲕᲔᲚᲐᲜᲘ მწუხარებით დახოცილნი ვართ. ᲑᲗᲮᲝᲕᲗ ახლავე მოგვეშველოთ. ᲑᲔᲕᲨᲘᲜᲘᲐᲜ, რომ აქაურმა ექიმმა საქმე არ წაგვიხდინოდოს.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ Დ.

ᲩᲕᲔᲜᲘ სახელ-განთქმული ექიმი დაფაცურდა და მეტის მეტი აჩქარებით სულ გაიბნა. ᲘᲛᲐᲡ უნდოდა ჩაეხედნა წიგნში, რომ შეეტყო ამისთანა შემთხვევაში რა არგებს მოწამლულსაო, მაგრამ იმდენს ექიმებში ვერ გაბედა, დაძრახვისა ეშინოდა. ᲘᲢᲧᲝᲓᲔᲜ, რაღა ექიმია, თუ ეგეც არ იცის, სპიჩკით მოწამლულს რა არგებსო. „ᲐᲛ შემთხვევაში თქვენ რა წამალს მისცემდითო“ — გაუბედავათ ჰკითხა იმან იქ მყოფ ექიმებსა. ᲯᲔᲠ არაფის ხმა არ ამოელო, ისევ იმან კრთომით დაიწყო, მე მგონია ნუშის ზეთის დალევინება ყველას ემჯობინებაო. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ გაუკვირდათ ამისთანა უმეცრება მდიდარი ექიმისა. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ შორის იქ იყო ერთი დოქტორი მეტად ნასწავლი და სახელგანთქმული კაცი. ᲘᲛᲐᲜ ველარ მოითმინა და წყრომით შესძახა გამოჩენილს ექიმსა:

„მე საშინლათ მაკვირვებს თქვენი პასუხი. ᲡᲞᲘᲩᲙᲘᲗ მოწამლულისთვის ზეთიხ დალევინება პირდაპირ სიკვდილია. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ რომ ზეთი ადნობს სპიჩკის თავს, უფრო გაჟენავს ტანში და უფრო ჩქარა დაარღვევს ტანსა. ᲐᲥᲔᲓᲒᲐᲜ ძნელი გამოსაცნობია, თუ რა მდგომარეობაში დაგხვედებათ თქვენ მოწამლული ყმაწვილი. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ზეთის დალევინება ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲐᲜ გაშოროსთ. ᲡᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲔᲚᲘ წამლის მიცემა აღარ შეიძლება, ამიტომ რომ დრო გახელია. ᲣᲗᲣᲚᲝᲓ ადგილობრივი ექიმი მისცემდა კვერცხის ცილას, ან კირის წყალს, რომ ტუტედგან ჰაერი ამოადინოს და სპიჩკა დაწვეს ტანში მოისპოს. ᲐᲛᲐᲡ შემდეგ ექიმი უეჭველათ მისცემდა ზეთის მაგიერათ სხვა სასაქმებელს წამალსა, რომ კუჭიდგან საჭმელს სპიჩკის ნაწილებიც ამოჰყოლოდა.

ᲗᲥᲕᲔᲜ მხოლოდ უნდა შეამოწმოთ ეს წამლები სრულად უსმევია თუ არა და შემდგ დასაამებელი წამლებიც შეგიძლიანთ მისცეთ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ კიდეე განგიმეორებთ, რომ ავათმყოფის მდგომარეობა თვითონ გიჩვენებსთ, როგორ უნდა მოიქცეთ.

ᲐᲛ დარიგების მოსმენა ერთობ არ დაურცხვენია ჩვენს გამოჩენილს და დიდკაცობაში მიღებულს დოქტორსა. ᲘᲛᲐᲜ რაღაც ცხვირში წაილაპარაკა, გამოეთხოვა სტუმრებს და წავიდა.

ᲝᲠᲘ საათის შემდეგ ჩვენი ექიმი მივიდა ᲪᲐᲠᲡᲙᲘᲡ ᲡᲔᲚᲝᲨᲘ და დააყენა ფაეტონი ერთი მშვენიერის სახლის წინ. ᲜᲔᲚᲐ და მწუხარის სახით შევიდა კიბეზე, სადაც ჯერ კიდეე ალიანქოთი არ დაწყნარებულიყო.

ᲩᲥᲐᲠᲐ გამოჰკითხა, როგორ შემთხვევოდა ეს უბედურება ყმაწვილსა და მერე შევიდა ავათმყოფთან, სადაც ნახა ადგილობრივი ექიმი, რომელსაც თითქოს რიღასიც რცხვენოდა. ᲐᲛ ექიმს გამოჰკითხა დოქტორმა და შეიტყო, რომ სასაქმებელი წამალი მაშინვე დაელევინებინა, მაგრამ სპიჩკის ნაწილები ნატამალიც არ ამოჰყოლოდა....

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲛᲐ გადააველო თვალი იქაურობას, შეხედა პატარა სტოლზე, რომ თითქმის დაცლილი დიდი ბანკა იდგა. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ იმ ექიმსაც ზეთის სასაქმებელი წამალი დაულევნია. ᲕᲐᲘ, იმ ექიმის ბრალი! ᲣᲜᲓᲐ წარმოიდგინოთ, როგორ განრისხდა, როდესაც დაინახა ის წამალი, რომელმაც, დიდი ხანი არ არის, რაც თვითონ იმისივე უცოდინარობა დაამტკიცა შეკრებილს სტუმრებში. ᲓᲐᲘᲬᲧᲝ თვალების ბრიალი, პირზე აენთო: „ᲔᲒ, რა არის, შესძახა საწყალს ექიმსა. ᲗᲥᲕᲔᲜ აძლევთ ზეთს სპიჩკით მოწამლულსა! ᲡᲩᲐᲜᲡ, არ გცოდნიათ, რომ ზეთი ადნობს სპიჩკის თავსა, გაიტანს ტანში და კიდეე უფრო მოწამლავს! ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲐᲜᲐ უგუნური წამლობისათვის, შეიძლება თქვენ კიდეც აგიკრძალონ ექიმობა და ხელ-ახლად ეგზამენი დაგაჭერინონ“. ᲕᲘᲜ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცის საწყალს ექიმს, რა შეურაცხება მიაყენა ამ ჩვენმა ბუმბერაზმა ექიმმა, თუმცა ორის საათის წინათ იმანაც ისეთი უგუნურება გამოიჩინა ამ საქმეში, რომლისთვისაც ახლა წეწავდა მეორე ექიმსა. ეს საწყალი გამოძვრა იმ მდიდარი სახლიდგან და გაიპარა მეტად შეწუხებული. რასაკვირველია, სატახტო ექიმს დარჩა სრულად ბურთი და მოედანი.

პაწაწა პეტრე იწვა მშვიდათ საწოლში და თითქმის არა აწუხებდა რა. ის მხოლოდ დასუსტებულიყო პირიდგან საქმებით. ალბათ ჩვენმა გამოჩენილმა ექიმმა დაიხსოვნა იმ სწავლული დოქტორის დარიგება, ამიტომ რომ მაშინვე მიალებინა ის წამლები, რაც მეცნიერმა დოქტორმა ურჩია.

ათი დღის განმავლობაში მდიდარი ექიმი, ყოველ დღე დადიოდა ცარსკი სელოში თავის ავათმყოფთან. როგორც ეტყობოდა ამ წამლობამ მალე არგო ყმაწვილსა, მით უფრო რომ ყმაწვილი არ ყოფილა სპიჩკით მოწამლული, როგორც ბოლოს გამოჩნდა. მართალია ყმაწვილმა რამდენიმე სპიჩკის თავი მიიტანა პირთან, მაგრამ სანამდის ჩაყლაპავდა, ყმაწვილს წაართვეს სპიჩკები. ეს შემთხვევა თითონ ამტკიცებს ამ მდიდარი ექიმის უგნურებას და მზაკვრობას. ახსნა აღარა უნდა რა.

სამეურნეო ამბები.

პურის გამლეწავი მაშინა ყანაში. ამისთანა მაშინა თავთავს ლეწვენ და ღერო ისევ ყანაში დგას. ყველამ იცის რამდენი მუშა ჰსჭირდება პურის მოწევას და გალეწვას. ბევრი ზარალიც ეძლევათ ხოლმე ზოგიერთს რუსეთის გუბერნიებში მიწის მომუშავეებს, რადგან ზოგი ყანები რჩებიან კიდეც მოუმკელნი და პური კაცის უხელოთ ჰხდება ყანებში. ზოგ ალაგას აქვთ პურის მომკელი მაშინები და თუმცა ისინი ძალიან ჰშველიან დროზე პურის მოწევას, მაგრამ სადაც პურსა ჰსთიბვენ, იქ რომ მაშინით პურის მომკა შევადაროთ, ცელით თიბვასა, ამისთანა მაშინის ხმარებაც ბევრს სარგებლობას არას აძლევს მეოჯახეს.

ყველა ესეები რომ წარმოვიდგინეო, ამბობს უფ. ვლასენკო, აზრათ მომივიდა, ის არ ემჯობინება, რომ იმისთანა მაშინა მოვიგონო, რომელიც ყანაშივე ლეწავდეს თავებს და ღერს ისევ ველზე სტოვებდეს და მერე თუ უნდათ, თივათ მოთიბონ. მართლაც ბევრი ვეწვალე ამისთანა მაშინის მოგონებაზე და ბოლოს გავაკეთე. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ჩემი მაშინა საცდელათ ვერ არის ისე კარგათ მოწყობილი, როგორც მე მსურდა, ამიტომ რომ სოფელში ვაკეთებდი და იქ რიგიანი ხელსაწყო არა მქონდა, რომ კარგათ გამემართაო. საცა რკინა უნდოდა, იმის მაგიერათ ხე გაუკეთეო, მაგრამ მაინც საკმაოთ კარგათ ჰსჭრიდა თავთავებს. პირველათ ეს მაშინა ვიხმარე წარსული წლის რვა სეკტემბერს ტვერის გუბერნიის სოფელს ბორისოვოში შვრიის მოსამკელათ ბაგარინის მამულში და ცხრამეტს სეკტემბერს ქერის მოსამკელათ არნაუტოვის ადგილში.

როდესაც შვრიას ვლეწდით ამ მაშინითა, იქ დაესწრნენ მომრიგებელნი მოსამართლენი ვლადიმერ შტურმირი და დიმიტრი ფონ-ედინგი. როცა ქერის ლეწვაში ვახმარეთ, მაშინ დაესწრო ბეჟეცკის უეზდის წინამძღომელი. მოდესტ ბორებიევი. ბორისოვის სოფელში ისე კარგათ იმუშავა ამ მაშინამ, რომ უფ. ფონ-ედინგმა მისწერა არნაუტოვს, თუ გინდა შენს ქერს გალეწს ახალი მაშინა მარტო თავთავათ, უღეროთო. არნაუტოვის მამული ორმოც ვერსზეა და მიზეზი ასე შორს წასვლისა ქერის გასალეწად ის იყო, რომ არნაუტოვს ქერი დარჩენოდა ყანებში მოუმკელი და იმ მაშინას რომ არ მიესწრო, უსათუოდ წახდებოდა. ფონ-ედინგის მოწმობასაც და წიგნსაც ამის ქვემოთ ვბეჭდავთ.

ბოლოს უნდა მოვილაპარაკო, თუ რა სასარგებლოა პურის ლეწვა თავეულათ და ღეროს გაშვება ყანებში.

1) ამისთანა გალეწვა ამიდზე უფრო აღარ არის დამოკიდებული და მკის დროს ცუდი ავდრების გამო რომ დიდი ზარალი ეძლევათ ხოლმე მამულის მეპატრონეებს, ეს ყველამ იცის. თავ-თავის მლეწველი მაშინა თავიდგან აცილებს მეოჯახეს ამისთანა ზარალსა.

2) მკის დროს, ან თიბვის დროს და ურმებით შინ წაღებაში პურის მარცვლები ბევრი იბნევა და ტყუილათ იკარგება. ამ მაშინის ხმარებით, ერთი მარცვალიც აღარ იკარგება. როდესაც ძნებათ აწყობენ ხოლმე ყანებში მომკილს პურს, ან თუ სდგმენ ძირებათ (ჩერგილებათ), პურის ხორბალს ბევრი ჰკლდება თაგვებისაგან და ფრინველებისაგან. ამ მაშინის ხმარებით ყველა ეს ზარალი ისპობა.

3) ზაფხულზე და შემოდგომაზე მუშა კაცი ძალიან ცოტა დაჰჭირდება მეოჯახეს. ეს მაშინა თუ აქვს, ორ დესეტინას ერთი ცხენი და ერთი კაცი ჰყოფნის დღეში, გარდა პურის ღეროს მომკისა, რომელიც რჩება ველზე მოუმკელათ.

4) ზემოხსენებული მაშინით შეიძლება გაილეწოს თავთავათ აგრეთვე ურუში და სხვა ამ გვარი თავთავიანი ბალახები.

5) ადრე მოწევის გამო, პურის გაყიდვაც უფრო ადრე იქნება. ამისგან ვაჭრობასაც მიეცემა სარგებლობა და ვინიცობაა რომ ცუდი მოსავლის წლებიც დადგეს მხარეში, თავის გასაკვებათ ხალხს უფრო მალე მიეცემა ღონისძიება. ოჯახობაში იმითია კარგი ადრე ნამუშევრის მოწევა, რომ ფული უფრო მალე შემოდის ოჯახში.

უფ. ედინგის აზრი ვლასენკოსაგან მოგონებულს პურის მკველს მაშინაზე. მე ქვემორე ხელის მომწერი ამით ვამოწმებ, რომ ამ 1868 წლის 15 სეკტემბერს ვლასენკოს მაშინა მოულოდნელათ კარგი გამოჩნდა პურის თავთავის მომკაში უღეროთ სოფ. ბორისოვსკის. მაშინის ხმარების დროს წვიმდა და შვრიის თავთავები დაწოლილიც იყვნენ, მაგრამ ხორბალი თითქმის არ დაკარგულა, ყველა წმინდათ მოიმკო. მაშინა როგორც ეტყობა გულდადებით არ არის გაკეთებული, სადაც რკინეული უნდა, იქ ხე აქვს გაკეთებული. — თუმცა ყველა ნაწილები მარჯვეთ არ არის ერთი ერთმანეთთან შეკავშირებული, მაგრამ საკვირველი რომ რკინის ჰქონოდა ერთი მარცვალი ხორბლისაც არ დაიკარგებოდა, ისე წმინდათ გაილეწებოდა. როგორც მოწყობილია, ისეც რომ იხმარონ სოფლელებმა ეს მაშინა, ეჭვი არა მაქვს, რომ ძალიან გამდიდრდებიან მოსავლით, რადგან მაშინა წმინდათ ლეწს და ხორბალს არ აბნევს; ამას გარდა ამ მაშინის ხმარებით დიდი დრო ჰრჩება სოფლელს სხვა საქმეების საკეთებლათ.

ტვერის გუბერნიის, ბეჟეცკის უეზდის
სოფლის მალინოვის მამულის მეპატრონე,
დიმიტრი პეტრეს ძე ედინგი.

იმავე მაშინის მოწმობა. ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ვამოწმებთ, რომ ამ 1868 წლის 19 სეკტემბერს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის არნაუროვის სოფელს ზინოვიევში გამოსცადეს ვლასენკოსაგან მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებული მაშინა პურის თავთავათ მოსამკელათ, ულეროთ. მაშინა ამუშავეს კენტუკურ ქერზე, რომელიც ჯერ კარგათ შემოსული არ იყო და ნაწვიმევიც იყო. მაშინას ჰქონდა ხის კბილები, მაგრამ გამოჩნდა, რომ, იმას რკინის კბილები ჰქონოდა, უეჭველად მკვიდრათ იმუშავებდა და ჩვენ არ ვიჭვნეულობთ, რომ გლეხებს დიდს სარგებლობას მისცემს ამ მაშინის ხმარება.

ბეჟეცკის უეზდის მარშალი მორობიევ, ბეჟეცკის მებატონენი: ივანე მელნიცკი, ალექსანდრე რანცევი, ნიკოლოზ ჩაპლინი, ნიკოლოზ რესსიპი, ალექსანდრე სუვოროვი, ნიკოლოზ არნაუტოვი.

ყანაშივე პურის სალეწავი მაშინა.

(წერილი სამეურნეო გაზეთის რედაქციაში).

ერთი რუსული გაზეთის (Сѣверная Почта) მეოცე ნომერში წავიკითხე უფ. ვლასენკოს განცხადება იმისგან სალეწავი მაშინის მოგონებაზე. ვისწრაფი, განვაცხადო, რომ ეს აზრი მარტო ვლასენკოს არ მოსვლია თავში. ეს მესამე წელიწადია, რაც ვშრომობ ამისთანა მაშინის გაკეთებაზე. ის არის შემდგარი ორ არშინიანი დაფისგან (ბარაბანისაგან) სიგძითა, რომელიც ტრიალებს ურმის თვლების შემწეობით. დაფა ისეა მოწყობილი, რომ ტრიალში პურის თავთავებს ჰკიდებს კბილებს და ლეწავს, ასე რომ მხოლოდ ჩალა რჩება ყანაში. ეს ჩემი მაშინა ბევრს მებატონეებს უნახავს, მაგრამ საუბედუროთ ამ ზაფხულში ვერ მოვასწარი იმისი ხმარება. დიკა სამ არშინ ნახევარი გაიზარდა ჩვენში სიმაღლით, მაგრამ ავდრებისაგან სულ ერთიანათ დაწვა და გაზაფხულის თესლი კი სულ წახდა. ჩემი მაშინა, როგორც მე მინდა, ისე ვერ არის გამართული, ამიტომ რომ დაწოლილს პურს ვერ გალეწს. დიდ ყანებში ძალიან სასარგებლო იქნება ამ მაშინის ხმარება, ერთი იმისთვის რომ ძალიან გაადვილდება პურის მოწევა და მეორე მუშების მოტყუებისაგანაც დაგვიხსნის. არც ძვირია, ასე რომ ყოველს შეძლებულს გლეხ კაცს შეუძლიან იყიდოს ეს მაშინა. კარგი იქნებოდა, რომ მე და ვლასენკო ერთათ შევუდგომოდით ამ მაშინის დასრულებას, ამიტომ რომ, რასაც მე ვერ მივხვდებოდი, ის გაასწორებდა და რასაც ის ვერ მოახერხებდა, მე მოვაწყობდი.

სამარის გუბერნიის ბუგულმინის უეზდის მებატონე მ. ბლუმილინი.
დეკემბერს 1868 წელს.

მიწის ძვრა და ცეცხლ-მქშინავი მთები.

ვინც მთის წვერზე ასულა, ან გძელ ქედზე მდგარა, ის უეჭველათ შენიშნავდა, რომ ფერდოებზე მრავალი ღელეები ჩაუყვებიან და იმ ღელეებში ჩაჩუხჩუხებენ ღელის წყლები. შორიდგან რომ შეხედო ამ ღელის წყლებსა, გეგონება, თითქო ვეცხლის წურბლები მოჰკიდებია მთებსაო. მართლაც, რომ ეს ღელის წყლები მოუშორებელი წურბლები არიან მთებისათვის. მოკიდებული წურბელი ჰსწუწნის კაცს სისხლსა; როცა გაძღება მოსცილდება და გარდაგორდება; ღელის წყლები კი დღე-და-ღამე შეუწყვეტლათ ჩამოჩუხჩუხებენ მთებიდგან და დღენიადაგ აცილებენ მთებსა, შლამსა მიწასა, კენჭებსა, კლდის ნამზვლევებსა, ფიჩხსა, ნამოჯრს ხესა და სხვ. ამ რიგათ ისინი თან-და-თან ღრუტნიან მთის ფერდობებსა, ასე რომ ჯერ თავის დენაში რუს აკეთებენ, მერე ეს რუ თან-და-თან ღრმავდება და ღრმა ღელე კეთდება, მერე ღელის ორივე პირები თან-და-თან ჩამოიქცევიან, მიწა, ქვა და სხვა ამისთანეები ღელის წყალს მიაქვს დაუცხრომელათ თავის დენაში და კეთდება ხევი, ზოგან ხევიც ისე ჩაღრმავდება, რომ უძირო უფსკრული ნაპრალი გეგონება, ასე რომ ჩახედვაც გეშინია, თვალი არ მოგტაცოს და შიგ უფსკრულს სიღრმეში არ გაიყრევინო ხეთქა. ეს კაცის ხელიდგან არ გაკეთდება, კაცს ამდენი არ შეუძლია. ამას აკეთებს ისევ ის წყლები, რომელნიც ჩამოჩუხჩუხებენ მთის ფერდოებიდგან, მუდამ ართმევენ მთას თავის ნაწილებს და მიაქვთ მინდვრებზე. ისინი დაუცხრომელათ დღეც სჭამენ მიწასა, ღამეცა ზამთარ და ზაფხულ, თითქოს რაღაც მოუშორებელი და გაუმაძღარი სვავები იყვნენ. აბა, ახლა შეხედეთ დიდს წყლებს. მტკვარს ალაზანს, იორს, რიონს, ყვირილას, ცხენის-წყალს, ენგურს და სხვ., რომელნიც თითქოს დიდ გველებსავით კლაკნით მიიმართებიან კასპიისა და შავი ზღვისაკენ, თითქოს ისინი იმ ზღვებიდგან ამოსულიყვნენ ვეელეშაპებათ, რომ სჭამონ ჩვენი დედა-მიწა. მართლაც ახლოს რომ მიხვიდე, რაც უნდა დაწმენდილნი მოდიოდნენ, მაინც მიწა, კენჭი და შლამი საკმაოთ მოაქვთ თვის დენაში. ისინიც პატარა ხევის წყლებსავით ართმევენ ჩვენს დედა-მიწას, მიწას, ქვას, ხეს, ტყეს და რასაც მინდვრებზე ვერ სტევენ, იმას ჰყრიან ზღვაში. როდესაც მოდიდებულნი არიან, მაშინ ხომ იმათ გაუმაძღრობას საზღვარი არა აქვს, ისე ბევრი მიწა მიაქვთ, რომ მდინარები, ხევის წყლები და წყაროები ყველანი ტალახით დაიტვირთებიან და ტალახის ფრათ შეილებებიან, ავდრიანობის დროს წამოღებული შლამი მდინარისაგან რომ მოაგროვოს კაცმა, ერთი მთის ოდენა და მთაზედ მომეტებული მიწაც დაგროვდება და ეს ამდენი აუარებელი მიწა რჩება ჭალებზე და უმეტესი ნაწილი ჩადის ზღვაში. თვითონ ზღვებიც და დიდი ოკეანებიც მუდამ ებძვიან ჩვენ მიწის ზურგსა. ვინც ზღვის ღელვის დროს დასწრებია იმის კიდეებზე, მიუცილებლათ ენახება, თუ რა საზარლათ სცემს ზღვა კიდეზე და რაც ხელს მოავლებს, ყველაფერი მიაქვს თავის უფსკრულში. საშინელი რამ სანახავია აღელვებული ზღვა. ის ჰგორავს. ერთი მთის ოდენა წყლის ზვირთი, მოჰგორდება და მიასკდება კიდესა, ასე რომ ხშირად კლდესაც ამტვრევს, ანაცრებს და შეაქვს თავის სიღრმეში. ამ სახით რაც ხმელეთზედ წყალია: წყარო, ხევის წყლები, მდინარენი, ზღვები და ოკეანე, ყველანი ჩვენს ხმელეთს ებძვიან დაუცხრომელათ, დღენიადაგ ჰგლეჯენ იმის ნაწილებს და შეაქვთ თავის სიღრმეში. სოფლის დასაბამიდგან სულ ასე დაუცხრომლათ ართმევენ წყლები დედა-მიწის ზურგს თავის ნაწილებსა და რომ რაიმე ძალა ხან აქ, ხან იქ არ ამაღლებდეს მიწის პირსა, არ აკეთებდეს ახალს მთებსა და გორებსა, აქამდის ყველა მთები და გორები დაიფხვნებოდა წყლებისაგან, ჩაინთქებოდა და მთელს მიწას წყალი დაფარავდა. ის ძალა, რომელიც ეწინაღმდეგება წყლის დამარღვეველსა ძალასა არის მიწის-ძვრა.

ჩვენ ქვეყანაში ბევრს არ გამოუცდია საშინელი მოქმედება მიწის ძვრისა. შარშან თითქმის მთელს კავკასიაში მოხდა მიწის ძვრა, მაგრამ ისე საშინლათ არ მომხდარა, რომ სახლები დაენგრია, მიწის პირი გამსკდარიყო და ჩაეყლაპა მრავალი სულიერი და უსულო. სადაც ყოფილა საშინელი ძვრა, იქ ბევრი ზარალიც მისცემია ერსა. ჩვენ ღმერთმა გვაშოროს ამისთანა მოვლენა; მაგრამ არის კი იმისთანა მაგალითები, სადაც მიწის ძვრით ოცი და ასი ათასი კაცი გამწყდარა და მთელი ქალაქები ჩანთქმულა, ან მიწას დაუტანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს მოეუთხრობთ მკითხველებს ამისთანა ბაგალითებსაც; მაგრამ ახლა გვინდა ავხსნათ, რისგან წარმოება მიწის ძერა, საიდგან იბადება ეს ძალა?

— ერთ ციდაზე რომ ამოთხარო მიწა ზაფხულის დღეს, შენიშნავ, რომ ამ სიღრმეზედაც ისე თბილა, როგორც მიწაზე, მაგრამ, აბა, ეხლა ჩავიდეთ მიწის სახლში, ან გომში; აქ შეეატყობთ რომ დღე გრილა და ღამე თბილა. ციდეე უფრო ღრმათ რომ ჩაეთხაროთ მიწა და ჩავიდეთ, შევნიშნავთ, რომ იქ ზამთარს თბილა და ზაფხულს ძალიან გრილა. ვის არ უსვამს ჭის წყალი, რომელიც ზაფხულში ძალიან ცივია და ზამთარში თბილი. —

სწავლულებს მოუგონიათ ერთნაირი შუშის მასრა, რომელშიაც ასხია ვერცხლის წყალი და ეძახიან ტერმომეტრსა (სითბოს მაჩვენებელსა). რამდენათაც უფრო თბილა, იმდენათ უფრო დაგძელდება ეს ვერცხლის წყლის სვეტი და რამდენათაც უფრო ცივა, იმდენათ უფრო დამოკლდება ისა. როდესაც ყინავს მაშინ ეს ვერცხლის წყლის სვეტი შუშის მასრაში ძალიან მოკლეა და თუ ადუღებულს წყალში ჩადევი, მაშინ ვერცხლის წყლის სვეტი ძალიან დაგრძელდება და გაჩერდება ერთ სიმაღლეზე. ამ სიმაღლეზე შუშას დააჭდობენ და იმ სიმაღლესაც დანიშნენ, რომელიც ჰქონდა ვეცხლის წყალს ყინვის დროს. ამ ორ ნაჭდობს შუა ოთხმოცს თანასწორს ადგილს დააჭდობენ შუშის მასრასა და ერთი ნაჭდობიდგან მეორე ნაჭდობამდე შუშის სიგძეს ეძახიან გ რ ა დ უ ს ს ა. როდესაც ამ ერთი გრადუსის ოდნათ დაგრძელდება შუშის მასრაში მყოფი ვეცხლის წყლის სვეტი, მაშინ იტყვიან ერთი გრადუსი სითბო მოემატაო. აი ამ რიგათ ზომავენ მეტნაკლებს სითბოსა.

ამისთანა სითბოს საზომავი ჩაუდეიათ ღრმა ჭაში ზამთარსა და დაუნიშნავთ რამდენი გრადუსი სითბოც ყოფილა, მერე ზაფხულში ჩაუდეიათ იმავე ჭაში ეს ტერმომეტრი (სითბოს საზომავი) და შეუნიშნავთ, რომ რამდენი გრადუსი სითბო, ზამთარში ყოფილა ზაფხულშიაც იმდენი ყოფილა, ასე რომ სითბოს არც უმატნია და არც მოუკლია იმ სიღრმეზე. ზამთარსა და ზაფხულს ღრმათ ამოთხრილს ჭაში ერთგვარი სითბო ყოფილა, არც მეტი, არც ნაკლები. ამისთანა სიღრმეზე თიო 12-ს.

. ოგან ასეა: ზაფხულს და ზამთარს ერთ გვარი სითბო დგას შეუცველელათ.

მაშ ზამთარში რომ ჭის წყალი თბილი გვეჩვენება და ზაფხულში ცივი, ეს რისთვის არის, თუ მეტნაკლები სითბო არ იყოსო იმ სიღრმეში—მკითხავს ცნობის მოყვარე მკითხველი?

ვის არ შეუნიშნავს, რომ ზამთარში როდესაც ძალიან თბილის სახლიდგან გამოვა კაცი დერეფანში, მაშინვე ეგრძნობს სიცივეს, და იტყვის,—უჰ, რა ცივა ამ დერეფანშიო. მაგრამ იმავე წამს თოვლში და ყინვაში ნავალი კაცი რომ შემოვიდეს დერეფანში, ის იტყვის, —ოჰ, ამ დერეფანში როგორი თბილაო, თუმცა თბილი სახლიდგან გამოსულს კაცს ესევე დერეფანი ცივი ჰგონია. რასაკვირველია, რომ დერეფანს სითბო არც მოუკლია და არც მოუმატნია; მაგრამ თოვლში ნავალს კაცს დერეფანი იმიტომ ჰგონია თბილი, რომ უფრო დიდს სიცივეში ყოფილა, უფრო დიდი სიცივე გამოუცდია, რომლის შედარებით დარეფანი ბევრათ თბილია. ძალიან თბილს თბილ სახლიდგან გამოსულს კაცს დერეფანი ცივი ჰგონია, იმიტომ რომ იმისი ტანი ძალიან თბილ სახლშია ნამეოფი და იმის შედარებით დერეფანი, რასაკვირველია, თბილათ ეჩვენება. როგორც დერეფანი, ჭის წყალიც ეგრეა. იმისი სითბო ზამთარ და ზაფხულ თანასწორია; მაგრამ ზამთარში თბილი გვეჩვენება, ამიტომ რომ უფრო დიდს სიცივეში ვართ, რომლის შედარებით ჭის—წყალი უფრო თბილია და ესევე ჭის წყალი ზაფხულის პაპარაქება სიცხის შედარებით ბევრათ ცივად გვეჩვენება, ამიტომ რომ მომეტებული სითბოსთვის შეგვიჩვევია ტანი. რაც უნდა ღრმათ იყოს ჭა ამოთხრილი, ხუთი ექვსი საჟენი სიღრმის მეტი არ ეშნება. მაშ დედა-მიწის ზურგზე ყველგან ამ სიღრმეზე, ან ცოტა მეტზე ზამთარს და ზაფხულს ერთგვარათ თბილა. მართლა სადაც კი გაუსინჯავთ ექვს—შვიდ საჟენ სიღრმეში მიწის სითბო ყველგან ერთ ნაირი სითბო შეუნიშნავთ.

ამ სიღრმიდგან, სადაც ყოველთვის ერთ გვარი სითბო არის, თოთხმეტი საჟენი სიღრმე რომ ამოთხაროს. იმის ძირს ერთი გრადუსი სითბო ემატება და ორი ვერსი სიღრმე რომ ამოთხაროს, იქ ოთხმოცი გრადუსი სითბო იქნება, ასე რომ ამ სიღრმეში წყალი უცეცხლოთ დოღს. ფრანციაში და ბერმანიაში ორი ვერსი სიღრმე ბურღით ამოთხრილი მიწა ბევრგან არის, ასე რომ იქიდგან მდუღარე წყალი სცემს. მაშ თუ ყოველ ორ ვერსზე მიწის სიღრმეში მდუღრის ოდენი სითბო ემატება, ორმოც—სამოც ვერსტ სიღრმეში ისეთი სითბო უნდა იყოს, რომ მიწა, რკინა, ქვა და სხვა გალხვალი უნდა იყოს სიცხისაგან. ამ სახით დედა-მიწა სწორეთ კვერცხია, რომელსაც გარეთ მაგარი კანი აქვს და შიგნით გალხვალი გული.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ დედა-მიწის წყლები ერთ ადგილიდგან ართმევენ მიწის ზურგს თავის ნაწილებს და მეორე ადგილას აგროვებენ, ასე რომ ხმელეთზე დედა-მიწის კანი თან-და-თან თხელდება და ზღვის ძირი თან-და-თან სქელდება იქ დაგროვებული მიწითა. ამ სახით აქ კანი რამდენათაც უფრო სქელდება, იმდენათ უფრო მძიმდება, აწევა გალხვალს დედა-მიწის გულსა. მაშ ეს გულიც შიგნიდამ უნდა აწევებოდეს კანსა სხვა ალაგას და სადაც კანი ძალიან გათხელებულა, ეელარ უძლებს, ამოიბერება, კიდეც გასქდება და იქიდგან ამოდუღდება გალხვალი მიწის გული. ამდროს მიწის კანი თრთის და ჩვენ ვგრძნობთ მიწის ძერას. ამობერილი მიწის კანი და იქიდგან ამოსული გალხვალი გული დროს განმაელობაში გაცივდება და კეთდება მთა-გორათ.

მაშ დიდი მიწის ძერა შიგნით გალხვალი დედა-მიწის გულის ბრალია, რომელიც აწევა შიგნიდგან მაგარს კანსა შეანძრევს და ზოგ ალაგას ამაღლებს.

მოვიხსენოთ ზოგი-ერთი მაგალითები მიწის ძერისა, რომელიც შეუნიშნავთ და აღუწერიათ სწავლულს კაცებს ქვეყნის სხვა და სხვა პირზე. მაგრამ ეს შემდეგისათვის გადავდეთ.

სხვა და სხვა ამბავი.

სამკურნალო (საექიმო) უწყება გვაცნობებს, რომ წარსულს 1868 წელს საიმპერატორო სამკურნალო-ხირურგიის აკადემიაში გაათავა სამოცდა ხუთმა კაცმა ექიმათ და ცამეტმა კაცმა პირუტყვების ექიმათ. სხვა-და-სხვა უწყების ხარჯზე მყოფ მოწაფეებში, სრული კურსი დაასრულა ბაშკირის ჯარის ხარჯზე გაზდილმა ქალმა ბარბარე ალშევაროვამ. 22 დეკემბერს აკადემიის აკტზე სწავლულმა სეკრეტარმა წაიკითხა ამ ქალის სწავლის ისტორია და ყველამ ყურადღება მიაქცია ამა ამბავსა. ბარბარე ალშევაროვისა 1858 წელს 1-ლს ივლისს პირველად დააყენეს კალინკინის საავათმყოფოში პეტერბურგს, რომ კაცის ასოების გადამდები ავათმყოფობის წამლობა ესწავლა და მერე ქალების ლეკრათ ყოფილიყო ბაშკირებში, რადგან ბაშკირელები თავის ადათისამებრ, არაოდეს კაცს არ აწამლებინებენ თავის ავათმყოფობასა. იმ ქალმა ალინკინის საავათმყოფოში ძალიან კარგათ გაათავა სწავლა და მერე 1863 წელს ივნისს, სამხედრო მინისტრის ნებართვით გაგზავნეს აკადემიაში უმაღლესი სწავლის მისაძენათ და იქაც ბაშკირის ჯარის ხარჯზე უნდა ყოფილიყო. ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს აკადემიაში რომ კურსი დაასრულა, უმაღლესმა მთავრობამ ბრძანა, რომ ის გამოეცადნათ და თუ ღირსი იყო, შესაფერი სწავლის მოწმობა (დიპლომი) მიეცათ. ამ ქალმა არამც თუ კარგათ დაიჭირა ეგზამენი, ჯილდოთაც მიიღო ოქროს მედალი. აკადემიის კრებამ გადასწყვიტა: ბარბარე კაშევაროვისა, თანახმად იმის სწავლისა, რომელიც გამოიჩინა გამოცდის დროს, შეირიცხოს დოქტორათ და ამასთან უნდა დასწეროს დოქტორის შესაფერი ორი თხზულება ლათინურს ენაზედ.

— „სამკურნალო უწყება“ გვიამბობს იმ ქალებზე, რომელნიც ჭკუა-შეშლილნი იმყოფებიან იესო ქრისტეს საავათმყოფოში ვარშავას. დოქტორი ლუბენსკი ამბობს, რომ ვარშავაში სიმთვრალე ძალიან გავრცელებულიაო. და ეს არის უმთავრესი მიზეზი შეშლილობისაო. საშუალო გამოანგარიშებით ყოველ წელს ორმოც-ორმოცი შეშლილი იყო იმ საავათმყოფოში და იმათში ოცდაათი სიმთვრალისაგან. ავტორი ამბობს: „ვერც წლოვანება, ვერც რიგიანი განათლება, ვერც დიდი ღვთის მოყვარება, ვერც სირცხვილი ვერ აშლევინებდა იმათ არაყის სმასა

ერთი და იგივე ავათმყოფი ბევრჯერ დაბრუნდებოდნენ ხოლმე ამ საავათმყოფოში და რაც უფრო ბოლოს და ბოლოს ბრუნდებოდნენ, ის უფრო მომეტებულათ იყვნენ მოწამლულნი სპირტითა. დოქტორის ლუბენსკის აზრით ამ საზოგადო ბოროტების მოსასპობელათ, ან შესამცირებელათ, საჭიროა, რომ საეკკლესიო დღესასწაულები და იარმუკები შემცირდესო, რომელნიც მიყრუებულ ადგილებში ხალხს უშლისო მუშაობას აგროვებს ერთად და არაყს მოაგონებსო. კარგი იქნება, არაყის გაყიდვაც რომ შეამციროსო.

უკანასკნელს წლებში პოლშაში ჭკუაზე იშლებოდნენ იმ რიგათ, რომ წარმოუდგებოდათ, ვითომც იმათ სდევნიდნენ, და არ ასვენებდნენ. ეს უკანასკნელი საპოლიტიკო დევნულობისაგან წარმოსდგა პოლშის სამეფოში. ეს ავათმყოფები მუდამ რაღაც შიშში იმყოფებიან, სწერენ უმთავრესს პირებს წერილებს, რომელშიაც სთხოვენ მფარველობას თავისთვის და თავის ნათესავებისათვისაც. ამისთანა ქალებს ხშირად თავის მოკვლა მოუვათ ხოლმე აზრათ.

დოქტორი ლუბენსკი ამბობს ერთს შესანიშნავს ავათმყოფს ქალზე, რომელიც ათის წლის განმავლობაში მუდამ დიდების წარმოდგენაშია. განსვენებული იმის მამა იყო ერთი საიმპერატორო სასახლის მმართველი პოლშის სამეფოში. ამ ავათმყოფ დედაკაცს თავისი თავი პოლშის მეფათ ჰგონია, ყველას მრავლობით რიცხვზე ელაპარაკება, სწერს წიგნებს და იწყებს ამ რიგათ, „ჩვენ, ანნა საბინა წყალობითა ღვთისათა პოლშის მეფეო“. თუ ვინმე დაინახა, ის მიიღებს, თითქოს უცხო ქვეყნის ელჩი ყოფილიყოს. ერთხელ, რამდენიმე წლის წინათ, მოხუცებულმა დედამ ნახა თავისი შეშლილი ქალი, რომელმაც იცნო ის და უთხრა: „დედაჯან, მე შენ, დიდიხანია, გეძებდიო“; მაგრამ მერე ისევ შეიშალა და დედას დაუწყო კითხვა: „რასა იქს ჩემი ძმა ვენგრიის კაროლიო, და შემდეგ იმის აზრით ლაზენკოვის სასახლეში გადასახლდა. ეს ქალი ათი წელიწადია ასე ავათმყოფია, კარგათ უკრავს ფორტეპანეზე და წიგნსაც კითხულობს.

მეცხვრის შკოლა ფრანციაში. ერთი ფრანცუზული გაზეთის სიტყვით ფრანციაში იხსნება მეცხვრეების შკოლა. ამ შკოლაში უნდა ასწავლონ ყმაწვილებს ცხვრის მოვლა. სწავლას მოუნდებიან ორ წელიწადს და შემდეგ ყმაწვილს მისცემენ სწავლის დასრულების მოწმობას და სამას ფრანკს (ას მანეთს).

ეს შკოლა უნდა გაიმართოს იმპერატორის ფარეხებთან პადე-კალეს მაზრაში. აქ სულ ყველაფერი მომზადებულია შკოლისთვის, შენობებიცა და ას ოთხმოცი დესეტინა მიწაცა.

შკოლას უნდა ჰყავდეს დირექტორი, რომელიც ასწავლის მეცნიერებისაგან გამოკვლეულს სწავლას ცხვრის აგებულებაზე, იმის მოვლაზე და საზოგადოთ ბუნების მეცნიერებას; აგრეთვე დროს და დროს განმავლობაში გამოსცდის ყმაწვილებს; იქ იქნება უფროსი მეცხვარე და მეცხვარე, რომელიც მაგალითით აჩვენებს ხოლმე ყმაწვილებს, რაც იმათთვის საჭიროა დასასწავლათ. ამათ გარდა ერთი მასწავლებელიც უნდა იყოს, რომელიც ასწავლის ყმაწვილებს წერა კითხვას და ანგარიშს.

— **კარტოფილის დამწიფების შეტყობა.** საქსონიაში ერთი აჩირებული კანონია: აკრძალულია კარტოფილის გატანა ბაზარში გასასყიდათ ცამეტ ივლისამდის, ვითომც იმისთვის რომ ამ დრომდის არ არის შემოსული კარტოფილიო. ერთი ნემეცური გაზეთი ეწინააღმდეგება ამ კანონს: ის სრულებით უსაფუძვლოთ დაუწესებიათო თუ მართლა იმისთვის არის აკრძალული კარტოფილის გაყიდვა ცამეტ ივლისამდის, ვითომც ის ჯერ არ იყოს შემოსულიო. შემდეგ თვითონვე უჩვენებს ნიშნებს, რომლებითაც შეიტყობა კართოფილის სიმწიფე. თუ კარტოფილში იმდენი ხრილი (სახამებელი) გაკეთებულა, რამდენიც რიგია, ის მაშინ დამწიფებულია; როდესაც კარტოფილის ღერი იწყებს გაყვითლებას; როდესაც, მოთხრის დროს, კარტოფილის თავთავები პატარა შერხევითაც ჩამოსცვივა ღეროსა, როდესაც მოხარშული კარტოფილი გაჭრის დროს საპონსავით არ აქაფდება, არამედ შიგნით მშრალია და იფხვნება, ის მაშინ მწიფეა. აი, ამ ნიშნებით ნამდვილათ შეიტყობა კარტოფილის სიმწიფე. ზოგი ატყობს სიმწიფეს იმითი, რომ როცა კარტოფილს ხარშვენ, კანი უსქდება, მაგრამ ეს ყველა თავთავს არ ემართება და ამისთანა ნიშნით მალე მოსტყუვდება კაცი; კანის დახეთქა, იმის სითხელის ბრალია და რომელსაც უფრო სქელი კანი აქვს, ის არ სქდება.

— **უხეირო ბალახის გაწყვეტა ეზოში და გზებზე.** თუ ერთხელვე გაჩნდა ამისთანა ბალახი, კაცი ძნელათ გასწყვეტავს. მოთხრით ვერას გააწყობს, ამიტომ რომ იმათი ძირები ქვებში გაბარდნილია და ყველგან რომ მოთხარო, მაინც დანარჩენი ძირები მალე გაიხარებენ და ცოტა ხანს შემდეგ ამ უხეირო ბალახით გზები და მინდვრები ისევ მოიცვება. ერთი ნემეცის გაზეთი ამბობს, რომ იმ ბალახებს სწყენთ მარილიო, ასე რომ სადაც ეს ბალახებია გამრავლებული, ის ადგილები, რომ ძალიან დამლაშებული წყლით მორწყონო რამდენჯერმე, ყველანი მალე გახმებიან და გაწყდებიანო. რასაკვირველია, ეს ღონისძიება მხოლოდ იქ არის სახმარი, სადაც მარილი ძალიან იაფია.

— **კარტოფილის მოსავლის გაძლიერება იმის ყვავილების დაკრეფით.** დიდიხანია, რაც შეუმჩნევიათ, რომ ყვავილის დაკრეფით კარტოფილის თავები მრავლდებიან და მსხვილდებიან. მაგრამ ამასაც ამბობენ, იმდენი არა ემატება რა მოსავალსაო, რამდენი შრომაც უნდა ყვავილის დაკრეფასაო და ამისგამო არას დასდევენ. ერთი ნემეცური გაზეთი ამბობს, რომ ეგ აზრი ტყუილიაო და მაგალითით ამტკიცებს, ყვავილების დაკრეფით კარტოფილის მოსავალი ისეთ რიგათ მატულობსო, რომ იმაზე შრომა მოსახსენებელიც არ არისო. გამოსცადეს ნაადრი თეთრი კარტოფილი. ორი ყანა იყო დათესილი ამ კარტოფილით; ერთ ყანაში სამჯერ დააწყვიტეს ყვავილის კოკრები კარტოფილსა და მეორე ყანა დაუკრეფავი გაუშვეს. მალე შენიშნეს, რომ ყვავილებ დაკრეფილ ყანაში ძალიან ტანი აჰყარა კარტოფილმა და როდესაც თავთავი ამოჰყარეს მიწიდგან, ყვავილდაკრეფილ ყანაში მოვიდა **ხუთას ცხრა ფუთი კარტოფილი** და ყვავილ დაუკრეფელში **ოთხას-ოთხი ფუთი**, ასე რომ მოსავალს ას ფუთზე მეტი მოემატა. ამის გამო ნემეცური გაზეთი ურჩევს მამულის მეპატრონეებს, რომ იმათ ყურადღება მიაქციონ შემდეგს გარემოებას: გამოსაცდელათ სჯობიან იხმარონ ნაადრი კარტოფილი, ამიტომ რომ სანამდის სოკო გაუჩნდებოდეს, ის მანამდის გამოიღებს ყვავილსა. მეოჯახეებს ვურჩევთ ადრიანათ დააკრიფონ კარტოფილს კოკრები და სხვა იარაღს ნურას იხმარებენ ამისთვის, ყველას ხელით დაკრეფა სჯობია, რომ მცენარეს არა ევნოს რა. სამჯერ ყვავილების დაკრეფას ოცდა ორი დღე მოუნდება ერთი კაცი და ამისთვის ასი ფუთი კარტოფილი შეეძინება. რასაკვირველია, რომ ძალიან სავარგებლოა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го февраля, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.